ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №58

02 დეკემბერი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
10:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ვ. ოთარაშვილი, ბ. ფირცხელიანი.

მოწვეული სტუმარი:

1. ნინო სანადირაძე – ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი
2. ცირა შალოშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების 2021 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა.

მომხსენებელი: ნინო სანადირაძე

თანამდებობა: ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების გენერალური დირექტორი.

კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, სხდომაზე განიხილება ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების 2021 წლის საქმიანობის ანგარიში. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, მუზეუმების გაერთიანებამ პანდემიური ვითარების მიუხედავად, წარმატებულად და შეუფერხებლად განახორციელა როგორც ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო სამუშაოები, ისე კულტურულ-შემოქმედებითი პროექტები.

თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დედაქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი ორიენტირებულია მეტად შეუწყოს ხელი სამუზეუმო საქმეს. ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნების გაზრდილი ოდენობით გათვალისწინება იმის მანიშნებელია, რომ სამუზეუმო რეფორმისა და მოდერნიზების გზაზე, მუზეუმების გაერთიანებას გაცილებით მეტი რესურსი ექნება ინოვაციური და კულტურულ-შემოქმედებითი პროექტების ჩასატარებლად. მუზეუმების გაერთიანების მიზანია ინსტიტუციური სრულყოფა, საგამოფენო სივრცეებისა და ექსპოზიციების განახლება, საინფორმაციო ბაზებისა და სამეცნიერო მიმართულების მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

წარმოდგენილი დღის წესრიგი განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი – ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

გაერთიანების დირექტორმა, ნინო სანადირაძემ, კომისიურ ფორმატში წარმოადგინა მუზეუმების გაერთიანების სამუშაო სტრატეგია და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით პრეზენტაცია. როგორც გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, თბილისის 9 მემორიალური მუზეუმის რეორგანიზაციის (გაერთიანების) შედეგად, დაფუძნდა თბილისის მუზეუმების გაერთიანება, რომელშიც შემავალი მუზეუმები წლებია ფუნქციონირებს და ეს მუზეუმები ქართული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობაა. ნიშანდობლივია, რომ გაერთიანების დაფუძნების საკითხი სწორედ განათლებისა და კულტურის კომისიაზე, 2016 წლის აპრილში გადაწყდა.

ნინო სანადირაძემ სამუზეუმო რეფორმასა და იმ გამოწვევებზე ისაუბრა, რომელიც 2021 წელს პანდემიური ვითარების ფონზე წარიმართა. მისი თქმით, გასული წლების მანძილზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე მუზეუმს, მათ შორის: კოტე და სოსო წერეთლების, ვახტანგ ჭაბუკიანის, გალაკტიონ ტაბიძის და ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმებს. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს, მის სამუზეუმო სივრცედ გარდაქმნა 2022 წლის ბოლომდე დასრულდება. ნინო სანადირაძის განმარტებით, მუზეუმების გაერთიანებას აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება. ერთი მხრივ, რეაბილიტაცია-რესტავრაციის მიმართულება, რაც თანამედროვე მუზეუმის სტანდარტის შესაბამისად სამუზეუმო სივრცეების მოწყობას გულისხმობს და მეორე მხრივ, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება, რაც საგამომცემლო საქმის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს. გაერთიანებას ამ დროისთვის 30-მდე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა აქვს.

ნინო სანადირაძის განმარტებით, 2021 წელი გამორჩეულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ფონდების გაზრდის თვალსაზრისით. მუზეუმების გაერთიანებამ შეძლო კულტურული ობიექტების შეძენა და მათი აღიარება კულტურული მემკვიდრეობის საერთო ბაზაში, რაც საკმაოდ რთული პროცედურაა. 2017-2021 წლის მანძილზე, მუზეუმების გაერთიანებას აქვს 2000-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის მცირე და დიდი ობიექტი შეძენილი, მათ შორის ისეთიც, რომლის რეაბილიტაცია ჯერ არ მომხდარა; ასეთია, მაგალითად, ზ. ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი.

როგორც ნინო სანადირაძემ აღნიშნა, 2020-2024 წლის მიმართულებების მთავარი გეგმაა ის, რომ დასრულდეს საფონდო მუშაობა და შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველა დოკუმენტი იქნეს შესწავლილი. მაგალითად, მ. კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში 11 000-მდე საქაღალდეა, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს უახლესი ისტორიის არქივს. ამასთან, აუცილებელია რომ დროულად მოგვარდეს თბილისის თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმის შენობის საკითხი, რადგან მუზეუმი 3000 უნიკალურ ექსპონატს აერთიანებს და მათი მოვლა-პატრონობისთვის საჭიროა შესაბამისი სივრცე. ეს პოზიცია გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების მხრიდან და საკითხის მხარდაჭერის მზაობა გამოითქვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თ. ნიბლოშვილმა, ნ. სანადირაძემ, ც. შალოშვილმა, მ. დარჩიამ, ვ. ოთარაშვილმა, ა. ლაშხმა, ვ. ძნელაძემ და გ. გოცირიძემ. კომისიაზე დამსწრე წევრების და მოწვეული სტუმრის მხრიდან ერთხმად აღინიშნა, რომ მუზეუმის გაერთიანება და მისი ყველა თანამშრომელი, თავდაუზოგავი შრომით ახერხებს დედაქალაქის სამუზეუმო პოლიტიკის მნიშვნელოვნად განვითარებას და სისტემატიზაციას. ის ფაქტი, რომ ტურისტულად მიმზიდველ ქალაქს აქვს ასეთი მრავალფეროვანი შესაძლებლობა, გაერთიანების მხრიდან პოტენციალის სწორად გამოყენების და დაგეგმარების, მენეჯერული პოლიტიკის შედეგია.

როგორც კომისიის წევრმა, ვ. ოთარაშვილმა აღნიშნა, დიდი საქმეა თბილისში მუზეუმების მოვლა-პატრონობა. ეს არის ჩვენი ცოცხალი ისტორია და მომავალ თაობას უნდა გადაეცეს კულტურული მემკვიდრეობა, რაც მთავარია, დაცული ფორმით. ჩვენს ეპოქაში დიდი ადამიანები მოღვაწეობდნენ, რომელთა სახლ-მუზეუმების შექმნა მომავალი წლების საქმეა. მაგალითად, ოთარ ჭილაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის და სასურველია თადარიგის დაჭერა, რათა ვიფიქროთ ახალი მუზეუმების დაფუძნებაზე. კომისიის წევრის, ვ. ოთარაშვილის განმარტებით, ხელოვანთა ცხოვრებაში ხშირია შემთხვევები, როდესაც იკარგება ხელოვანთა მემკვიდრეობა, ზოგის ნაშრომებიც კი (ტერენტი გრანელის, ნიკო ფიროსმანის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა შემთხვევებში). სწორედ ამიტომ, დროულად უნდა უზრუნველვყოთ დიდ შემოქმედთა მუზეუმების დაფუძნება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების 2021 წლის საქმიანობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი

შეადგინა:
ირაკლი შამათავა